# გასტრიტოლი (Gastritol)

მცენარეებით დაცული კუჭ-ნაწლავის ტრაქტი!

## სამკურნალო საშუალების შემადგენლობა:

100 მლ პრეპარატი შეიცავს:

**აქტიური ნივთიერებები:** ბატის მარწყვა ბალახის თხევადი ექსტრაქტი (Anserinae herba) (1:1,7-2,2) (ექსტრაგენტი: ეთანოლი 40 % (მოც./მოც.)) 35 მლ, სამკურნალო გვირილას ყვავილების თხევადი ექსტრაქტი (Matricariae flos) (1:1,7-2,2) (ექსტრაგენტი: ეთანოლი 45%(მოც./მოც.)15 მლ, ძირტკბილას ფესვების თხევადი ექსტრაქტი (liquiritiae radix) (1:1,7-2,2) (ექსტრაგენტი: ეთანოლი 40% (მოც./მოც.))15 მლ, ანგელოზას ფესვების თხევადი ექსტრაქტი (Angelicae radix) (1:1,7-2,2) (ექსტრაგენტი: ეთანოლი 40% (მოც./მოც.)) 5 მლ, ძიძას ბალახის თხევადი ექტრაქტი (Cnici ben. Herba) (1:1,7-2,2) (ექსტრაგენტი: ეთანოლი 40%(მოც./მოც.))5 მლ, მწარე აბზინდას თხევადი ექსტრაქტი (Absinthii herba) (1:1,7-2,2) (ექსტრაგენტი: ეთანოლი 40%(მოც./მოც.))5 მლ.

**სხვა ინგრედიენტები (სხვა დამხმარე ნივთიერებები):** ეთანოლი 96% (მოც./მოც.), წყალი გასუფთავებული.

**გამოშვების ფორმა:** ორალური წვეთები

## ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

გამჭვირვალე ყავისფერი სითხე

## ფარმაკოთერაპიული ჯგუფი

საშუალებები, რომელიც გამოიყენება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციური მოშლილობებისას. ათქ კოდი: A03A X20

## ჩვენებები

ფუნქციური დისპეფსია, მეტეორიზმი, გასტრიტები, მათ შორის ქრონიკული ჰიპერაციდული გასტრიტი, ასევე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების კომპლექსური მკურნალობის შემადგენლობაში.

## უკუჩვენებები

პრეპარატის რომელიმე ინგრიედინტის მიმართ ჰიპერმგრძნობელობა, პრეპარატის კომპონენტებზე ალერგიული რეაქციები.

## ურთიერთმოქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან

დღმდე არ არის ცნობილი.

## განსაკუთრებული გაფრთხილება

პრეპარატის 1 წვეთი შეიცავს 0,016 გ ეთანოლს.

## ორსულობა და ძუძუთი კვება (ლაქტაცია)

მსგავს შემთხვევებში პრეპარატის გამოყენების შესახებ საკმარისი გამოცდილების არარსებობის გამო, არ არის სასურველი მისი გამოყენება ორსულ ქალებში და ლაქტაციის პერიოდში.

## ზემოქმედება ავტოტრანსპორტის მართვის და სპეციალურ მოწყობილობასთან მუშაობის უნარზე

თერაპიული დოზების დიაპაზონში პრეპარატის მიღება არ ახდენს გავლენას ავტოტრანსპორტის მართვაზე ანა სხვა მექანიზმებთან მუშაობაზე.

## ბავშვები

ბავშვებში გამოყენების საკმარისი გამოცდილების არ არსებობის გამო პრეპარატის მიღება არ შეიძლება 12 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

## დოზირების რეჟიმი და გამოყენების მეთოდი

სხვაგვარი დანიშნულების არარსებობის შემთხვევაში, მიიღება მცირე რაოდენობის სითხეში გახსნილი 20–30 წვეთი, 3–ჯერ დღეში ჭამის დროს. მძიმე და მწვავე მდგომარეობისას მიიღება 15–25 წვეთი ყოველ 30 წუთში–ერთ საათში. მკურნალობის ასეთივე სქემა გამოიყენება განმეორებითი მკურნალობის შემთხვევაშიც.

მკურნალობის ხანგძლივობა – 3-4 კვირა. საჭიროებისას შესაძლოა მკურნალობის კურსის განმეორება 2 თვის შემდეგ.

**ვარგისიანობის ვადა:** სამი წელი.

## შენახვა

შეინახეთ ორიგინალურ შეფუთვაში არა უმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ამ პრეპარატის ვარგისიანობის ვადა შეადგენს 3 წელს.

ფლაკონის გახსნის შემდეგ შენახვის ვადა შეადგენს 3 თვეს.

არ გამოიყენოთ შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

## შეფუთვა და გამოშვების ფორმა

20 მლ, 50 მლ, 100 მლ ხსნარი საწვეთურიან ფლაკონში; 1 ფლაკონი მუყაოს კოლოფში სამედიცინო გამოყენების ინსტრუქციასთანერთად.

## მწარმოებელი: **Dr.GustavKlein GmbH & Co.KG** (გერმანია)

## გაცემის კატეგორია: რეცეპტის გარეშე.